საქართველოს
ყრუთა კავშირი

UNION OF THE
DEAF OF GEORGIA

№ 13 ს/კ 201945574 "03" დეკემბერი 2016 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ყრუ და სმენადაქვეითებული პირების საჭიროების კვლევისას მნიშვნელოვანი მომსახურეობებიდან ერთ-ერთი ეესტური ენის თარჯიმანთა მომსახურების კომპონენტია, ასევე დამხმარე ტექნიკური საშუალებები: სმენის აპარატები, მობილური ტელეფონები.

მობილური ტელეფონები ბავშვობიდან ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის კომუნიკაციის ერთადერთი საშუალებაა მთელს მსოფლიოში, სმენის აპარატები უმეტესად განკუთვნილია ასაკობრივი სმენადაქვეითებულთათვის.

112-ის მომსახურებაში მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ყრუ და სმენადაქვეითებულთათვის, სასწრაფო გადაუდებელი მომსახურება მათთვის ხელმისაწვდომი გახდა, მაგრამ არის კატეგორია ადამიანებისა, რომელთაც ვერ შეძლეს მობილური ტელეფონების შეძენა და შესაბამისად ვერ ახერხებენ ამ მომსახურეობაში ჩართვას.

გთხოვთ თქვენს მხარდაჭერას ამ მიმართულებით – მობილური ტელეფონები, პლანშეტები, ტელევიზორები – აისახოს ბიუჯეტში, როგორც დამხმარე ტექნიკური საშუალებები, რომელიც რეალურად ეხმარება ყრუ და სმენადაქვეითებულთა ინტეგრაციას საზოგადოებაში, საბოლოოდ კი ხელს უწყობს ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

იმედი გვაქვს თქვენი მხარდაჭერის.

საქართველოს ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
04 12097
02 16 წ.
1 ფურცელი

პატივისცემით,

საქართველოს ყრუთა კავშირის
პრეზიდენტი: ა. ბატატუნაშვილი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
01505
030134031400614

საქართველო, 0112, თბილისი, მაიაკოვსკის ქ.№6
ტელ.: 995 32 341621; 995 32 344557
ტელ/ფაქსი: 995 32 910667; e-mail: geodeaf@mail.ru

6 Maiakovski str., Tbilisi,0112, Georgia
Tel.: + 995 32 341621; 995 32 344557
fax:+995 32 910667; e-mail: geodeaf@mail.ru